31.07.07

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი

Ministry of Environment Protection and Natural Resources of Georgia
Department of Lisences and Permits

„27" 07 2007 წ.
№ 05/02-16/12053

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"-ს
აღმასრულებელ დირექტორს
ქალბატონ ნინო გუჯარაიძეს

ქალბატონო ნინო,

თქვენი ა/წლის 16 ივლისის №04/02-72 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის შესაბამისად შეგიძლიათ ჩაერთოთ შ.პ.ს. „ინგეო ტრეიდი"-ს მინერალური ნედლეულის გამადიდრებელ ფაბრიკაზე და შ.პ.ს. „ჯეოსთილი"-ს რუსთავის მეტალურგიულ საწარმოზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის ადმინისტრაციულ წარმოებაში. ვინაიდან თქვენს წერილში მითითებულ დანარჩენ ობიექტებზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის ადმინისტრაციული წარმოება ჯერ არ დაწყებულა, მათ შესახებ ინფორმაციას მოგაწვდით სანებართვო დოკუმენტაციის წარმოდგენისთანავე. სამინისტროში წარმოდგენილ სანებართვო დოკუმენტაციას შეგიძლიათ გაეცნოთ ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის, ნებართვების სამმართველოში.

ვინაიდან „სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 06.03.07 №193. ბრძანების, მე-9 მუხლის თანახმად ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების პროცედურის ვადები შეადგენს არანაკლებ 10 (ათი) და არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) დღეს გთხოვთ თქვენი შენიშვნები და მოსაზრებები მოგვაწოდოთ მიმდინარე წლის 6 აგვისტომდე.

პატივისცემით,

გიორგი ცხაკაია
დეპარტამენტის უფროსი

საქართველო, 0114 თბილისი, მისამართი: გ.გულუას ქ №6, ტელ/ფაქსი: 275708 E-mail:lisence@moe.gov.ge
6 Gulua str, 0114, Tbilisi, Georgia, Tel:275708

02-48